



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### „მოჯამაგირის ხმა“

„მოჯამაგირის ხმა“, სოფლის მეურნეობისა და ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის ორგანიზებული ორგანო. გამოდიოდა 1927-30 თბილისში. 1930-იდან „სასოფლო და ტყის მეურნეობის მუშა“ ერქვა. გამომცემელი იყო „ახალი სოფლის“ რედაქცია (№1-№10), შემდეგ - სოფლის მეურნეობისა და ტყის მუშაკთა კავშირი. იბეჭდებოდა კორესპონდენციები და სპეც. სტატიები პროფკავშირის, მიმდინარე პოლიტიკისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე. სულ გამოვიდა 135 ნომერი.

**გ. თოდუა**

---